მშრომელთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 1 თებერვალი, 1944 წ. № 22 (6916). ფასი 20 კაპ.

დიდი საბჭოთა სახელმწიფოს ბიუჯეტი

„პრავდის“ მოწინავე—31 იანვარი

28 იანვარს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიამ. საბჭოთა ხალხის რჩეულნი მოვიდნენ კრემლში ჩვენი დიდი ქვეყნის ყველა კუთხიდან, სამამული ომის ყველა ფრონტიდან, რათა განიხილონ, გაარჩიონ და გადაწყვიტონ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხები. თვით დღის წესრიგი სესიისა—სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, საკითხი თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატებიდან საკავშირო-რესპუბლიკურ კომისარიატებად გარდაქმნის შესახებ, საკითხი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის შესახებ—მოწმობს იმას, თუ რა უდიდესი როლი უნდა შეასრულოს სესიამ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

ფინანსთა სახალხო კომისარმა დეპუტატმა ზვერევმა და კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების თავმჯდომარეებმა დეპუტატებმა ნიკოლაევამ და ბოხლოვმა მოახსენეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და 1940, 1941 და 1942 წლების ბიუჯეტის შესრულების შედეგები.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატების წინაშე. მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის წინაშე, წითელი არმიის წინაშე გადაეშალა სურათი იმ უდიდესი ორგანიზატორული მუშაობისა, რაც გაწეულია ჩვენს ქვეყანაში ომის დროს საბჭოთა მთავრობისა და ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. ხალხთა დიდი ბოლადის, საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, სესიაზე გამოსული ყველა ორატორთა სიტყვები ცხადყოფენ სსრ კავშირის ხალხთა მჭიდრო დარაზმულობას საბჭოთა მთავრობისა და ბოლშევიკური პარტიის გარშემო, ჩვენი გამარჯვებების სოლიდარულობისა და ორგანიზატორულ—ამხანაგ სტალინეულ გარშემო.

ჰიტლერელი ყაჩაღების მიერ წამოწყებულმა ომმა სოციალისტური სახელმწიფო, საბჭოთა წყობილება, საბჭოთა ეკონომიკა და ფინანსები უძნელესი გამოცდის წინაშე დააყენა. ისეთი ომის წარმატებითმა დაფინანსებამ, როგორიც არის ახლანდელი ომი მისი უმგაზეთო მასშტაბების ბრძოლებით, მისი საბრძოლო ტექნიკის უდიდესი საჭიროებით. საბჭოთა ქვეყნის მთელი ძალების დაძაბვა მოითხოვა. და ჩვენმა სახელმწიფომ, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტია წარმართავს, ჰპოვა თავისში საკმაო ძალები, რომ მოეწყო მტრის მოგერიება და მიეყენებინა მისთვის მძიმე დამარცხებანი.

საბჭოთა წყობილებამ, მეურნეობის საბჭოთა სისტემამ დაუფუძნა გადაარჩინეს ჩვენი სამშობლო. ჩვენ ტვალსოვს 1914-1917 წლების ომი, რომელმაც გადაულახავი სამეურნეო სიძნელეები შეუქმნა რუსეთში, გამოიწვია მისი ეკონომიკისა და მისი ფინანსების კრიზისი. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სამხედრო ხარჯები ბევრჯერ უფრო ნაკლები იყო საბჭოთა კავშირის სამხედრო ხარჯებზე ჰიტლერულ გერმანიასთან ომში, მეფის რუსეთი წელში წყდებოდა ომის ძმიმე ტვირთქვეშ, და მისი ფინანსები სავსებით ძოშალა.

ახლა საბჭოთა კავშირი, რომელიც დიდი გარდაქმნის ნაყოფს იმკის, სოციალისტური ინდუსტრიული და საკოლმეურნეო სახელმწიფო გახდა, მან საკმაო რესურსები ჰპოვა ომის დასაფინანსებლად. მიუხედავად მნიშვნელოვანი ტერიტორიის დროებითი დაკარგვისა და ფაშისტი ყაჩაღების მიერ ჩვენი სახალხო მეურნეობისთვის მიყენებული სერიოზული ნგრევისა, ჩვენი ქვეყნის ძალები არა თუ არ გამოფიტა, რაზედაც ამყარებდა იმედს მტერი, არამედ, პირიქით, ეს ძალები გაიზარდა და განმტკიცდა.

ომის პირობებშიც კი საბჭოთა სახელმწიფოს ბიუჯეტი ზრდას განაგრძობს, და მისი ასიგნებანი სამხედრო საჭიროებისათვის წლითიწლობით იზრდება. 108 მილიარდზე მეტი შეადგინა სამხედრო ხარჯებმა 1942 წელს, 125-ზე მილიარდს შეადგენდა ეს ხარჯები გასულ წელს და 128 მილიარდზე მეტს ითვალისწინებს მთავრობა მიმდინარე წლისათვის. ომის ბიუჯეტი ასახავს ჩვენი ეკონომიკის გიგანტურ გარდაქმნას საშინდრო ყიდაზე, ხალხის მზადყოფნას მთელი ძალღონე მოახმაროს საძულველი მტრის საბოლოო განადგურებას. საბჭოთა მთავრობამ, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მობილიზაცია ოყვეს ჩვენი ქვეყნის მატერიალური და საფინანსო რესურსებს და წარმართეს ისინი აწყობილი სამხედრო მეურნეობის შექმნისა და ფრონტის ყველა საჭიროებათა დაკმაყოფილებისაკენ.

სამხედრო მეურნეობის ოარლესმა ზრდამ და საბჭოთა ხალხის უდიდესმა პატრიოტებმა ფაშისტურ ომის დაფინანსება. სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა შემოსავალი და დაზოგვა, ისევე როგორც მშვიდობიანი დროის წლებში, იყო სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ძირითადი წყარო. წარმოების დიდმა ზრდამ, პროდუქციის თვითღირებულების გაიაფებამ და შეფიარიდების, სომარი მასალებისა და საპურვლის გასაცემი ფასების შემცირებამ, ავრეთვე მოსახლეობისაგან სესხების შემოსვლის ზრდამ შესაძლებელი გახადა ფრონტის შეუფერხებელი მომარაგება ყოველივე იმით, რაც მას ესაჭიროება.

ჩვენი ხალხი არა მარტო თავისი გმირული შრომით ეხმარება თავის სახელმწიფოს, არამედ თავისი ფულადი სახსრებითაც. თავდაცვისა და წითელი არმიის ფონდებმა, სამხედრო სესხებზე და ფულისა და ნივთების ლატარიებზე წარმატებითმა ხელმოწერამ სახელმწიფოს მისცა დამატებითი ათეულ მილიარდობით მანეთი ომის წარმატებით საწარმოებლად.

ილაპარაკა რა ბიუჯეტის რესურსებზე, რომლებიც ფრონტის დასაფინანსებლად წარიმართება, ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. ზვერევმა აღნიშნა—ორსებითი მნიშვნელობა იმ დახმარებისა, რასაც მოკავშირენი გვიწევენ წითელი არმიისათვის საპურვლის, მასალებისა და სუროსათის მიწოდების სახით.

1941, 1942 და 1943 წლების ბიუჯეტები უზრუნველყოფდნენ ჩვენ მიერ ომის წარმატებთან წარმოების ორნახევარი წლის განმავლობაში. 1944 წლის ახალი ბიუჯეტი ასახავს სსრ კავშირის ხალხთა ნება-სურვილს მტერზე სრული გამარჯვების მოსაპოვებლად. ბიუჯეტი 128.4 მილიარდ მანეთს ითვალისწინებს თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის დასაფინანსებლად. უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, ჩვენს დიდ სამშობლოში მოსახლე ყველა ხალხთა წარმომადგენლები, ბიუჯეტზე მსჯელობისას, განსაკუთრებული ერთსულოვნებით იწონებენდნენ სამხედრო ხარჯების იმ თანხას, რომელიც დასახულია მთავრობის მიერ. სესიაზე გამართულ კამათში დეპუტატები გამოხატავენ თავიანთ აუმორჩეველთა ნება-სურვილს, ხალხის ნება-სურვილს.

დიდი საბჭოთა სახელმწიფოს ბიუჯეტი ნახევარზე მეტ თავის შემოსავალს გამოჰყოფს ომის საწარმოებლად. ამავე დროს ჩვენი ბიუჯეტი განირჩევა დიდი ასიგნებებით სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ფართო პროგრამის განხორციელებისათვის. საბჭოთა სახელმწიფო ომის მესამე წელს შესაძლებლად სთვლის გამოჰყოს 45 მილიარდამდე სახალხო მეურნეობის განსავითარებლად და 51 მილიარდზე მეტი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა განსახორციელებლად. სახელმწიფო 16 მილიარდამდე მანეთს ითვალისწინებს გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღსადგენად. იჩინს რა განსაკუთრებულ მზრუნველობას მშრომელთა მატერიალური და კულტურული საჭიროებისათვის, სახელმწიფო დიდ სახსრებს იძლევა სკოლებისა და საბავშვო ბაღების გასაფართოებლად, კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად, ჯანმრთელობის დაცვის გასაუმჯობესებლად. ბიუჯეტი მრავალ მილიარდს ითვალისწინებს საბჭოთა მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. ბიუჯეტი საფუძვლებს უყრის მთელი სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აყვავებას, ჩვენი საშობლოს სამხედრო და სამეურნეო ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

შემოსავლის ძირითად წყაროდ წინანდებარად რჩება სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა დაგროვება. მაშასადამე, ჩვენი ბიუჯეტის კეთილდღეობა ჩამოსავე შრომას ემყარება. 1944 წელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის შემდგომი ზრდის, შრომის ნაყოფიერების გაღიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების წელი უნდა იყოს. ბიუჯეტის შესრულება მოითხოვს უსასტიკეს მომჭირნეობის რეჟიმს, გადამწყვეტ ბრძოლას უყაირათობასა და მფლანგველობასთან, როგორც საბჭოთა წყობილებისათვის ოარო მოელენებთან. ბიუჯეტის შესრულება ჩვენი საშობლოს ძალისა და ძლიერების ახალი დადასტურება იქნება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესია თავის მოშაობას ეწყება იმ მომენტში, როდესაც მაშაკი წითელი არმია ჩვენი საყოველიერი ბოლოდროს ... ...

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს X სესია

კავშირის საბჭოს სხდომა

29 იანვარს სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს X სესია განაგრძობდა თავის მუშაობას. დილის 11 საათზე დაიწყო კავშირის საბჭოს სხდომა.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან კავშირის საბჭოს თავმჯდომარე—დეპუტატი ა. ა. ანდრეევი და კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები—დეპუტატები ტ. დ. ლაზარევი და უ. იუსუპოვი, ლოჯებში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და მთავრობის წევრები. დეპუტატები და სტუმრები ტაშით ეგებებიან მათ.

კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ა. ა. ანდრეევი კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენებისათვის სიტყვას აძლევს დეპუტატ კ. ა. ნიკოლაევან.

ამბ. ნიკოლაევა აღნიშნავს, რომ 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შედგენილია საბჭოთა ხალხის წინაშე მდგომი სამხედრო, სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების სრული შესაბამისობით.

—1944 წლის მრავალმილიარდიანი ბიუჯეტი,—ამბობს იგი,—არის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ძლევამოსილი ბრძოლის ფინანსური ბაზა. ბიუჯეტი მოწოდებულია უზრუნველჰყოს შეუფერხებელი დაფინანსება ყოველივე იმისა, რაც საჭიროა საზიზღარი მტრის უსწრაფესი განადგურებისათვის.

ამბ. ნიკოლაევა აცხადებს, რომ კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიას სწორად და ოპერატიულად მიაჩნია ომის წარმოების უშუალო საჭიროებისათვის მთავრობის მიერ დასახული ხარჯები. მხარს უჭერს რა აგრეთვე ასიგნებებს სახალხო მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის, ამბ. ნიკოლაევა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ასიგნობანი მოწმობენ, რომ 1944 წელი იქნება მრეწველობის, მიწათმოქმედების, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების ახალი აღმავლობის წელი, სახალხო განათლების და ჯანმრთელობის დაცვის დარგში ახალ წარმატებათა წელი.

საბიუჯეტო კომისიის სახელით ამბ. ნიკოლაევას წინადადება შემოაქვს გადიდებულ იქნას ბიუჯეტის შემოსავლის საერთო თანხა 4.010 მილიონი მანეთით. სსრ კავშირის 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგანგებო ნაწილში საბიუჯეტო კომისიის არავითარი ცვლილება არ შეაქვს და წინადადებას იძლევა გასავალი დამტკიცებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო კომისარიატ საბჭოს მიერ მიღებული თანხების ოდენობით.

დეპუტატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით უპასუხებენ ამბ. ნიკოლაევას დასკვრით სიტყვებს:

— გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლის ყოველი დღე ახლოებს ჩვენი ბედნიერ გამარჯვების ჟამს. ამ გამარჯვებას გმირი საბჭოთა ხალხი მოიპოვებს ჩვენი დიდი ბელადის და მასწავლებლის შშობლიური სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით!

კავშირის საბჭო გადადის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვაზე.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს რსფს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამბ. ა. ნ. კოსიგინს.

— წინადადებას ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის 128.400 მილიონი მანეთის ასიგნების შესახებ.—ამბობს ამბ. კოსიგინი,—ერთსულოვნად დაუჭერს მხარს მთელი საბჭოთა ხალხი. რსფს რესპუბლიკის ბიუჯეტის მაგალითით, რომელითაც ხარჯების ორ მესამედზე მეტი გათვალისწინებულია სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, ამბ. კოსიგინი ხაზგასმით აღნიშნავს პარტიისა და მთავრობის ზრუნვას სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი განვითარებისათვის.

შემდეგ ამბ. კოსიგინი ლაპარაკობს აღდგენით სამუშაოთა უდიდეს გაქანებაზე რსფს რესპუბლიკის იმ რაიონებში, რომლებიც განთავისუფლებულია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან, და აყენებს მთელ რიგ პრაქტიკულ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია რსფს რესპუბლიკის ქალაქებში მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის შემდგომ განვითარებასთან.

შემდეგ გამოდის დეპუტატი ლ. რ. კორნიეცი.

— ლენინგრადის მახლობლად ნაპირის ოკუპანტებისგან განდევნილი გერმანელი ყაჩაღები,—ამბობს ამბ. კორნიეცი,—თიქრობდნენ გამარჯვებდნენ ლენინგრადს, შეინარჩუნებდნენ ოკუპანტის დიდებულებს კიევს. წითელმა არმიამ წარმატებით გადალახა დნეპრი, გარეკა გერმანელები დნეპრს გაიმა და კიევიდან. განთავისუფლებულ კიევში იმყოფებიან ამჟამად მშრომელთა დეპუტატების უკრაინის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, უკრაინის სს, რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო და უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

ამ ცნობას დეპუტატები და სტუმრები მეტისმეტ ტაშით ეგებებიან.

— მალე,—განაგრძობს ამბ. კორნიეცი,—მთელი უკრაინა, მთელი ჩვენი მიწა-წყალი გაწმენდილ იქნება გერმანელი ოკუპანტებისაგან და მთელ უკრაინელ ხალხს კვლავ თავისუფალი და საბედნიერო ცხოვრება ეკრება დიადი საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა ოჯახში.

ამბ. კორნიეცი ღრმა კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ სსრ კავშირის 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად ასახავს განთავისუფლებულ რაიონებში გერმანელი დამპყრობლების მიერ დანგრეული მეურნეობის აღდგენის და, კერძოდ, დნეპრის მარცხენა ნაპირის უკრაინის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგთა აღდგენის საყოველთაო-სახალხო ამოცანას, რისთვისაც ასიგნებულია 1 მილიარდ მანეთამდე. ეს ასიგნობანი საშუალებას მოგვცემენ 1944 წელსვე მოეწყოს უკრაინაში თავდაცვის საჭიროებისათვის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ბრძოლა ტაბაკიკ ხალხს სწრაფი ტემპებით მიაყავს წინ თავისი მეურნეობისა და კულტურის განვითარება.

დეპუტატი ნ. ხ. პატალიჩევი თავის სიტყვას უძღვნის ინდუსტრიული ურალის მრეწველობის ზრდას, ურალისა, რომელიც წარმოადგენს საჭურველითა და საომარი მასალებით წითელი არმიის უზრუნველყოფის ძლავრ წყაროს.

დეპუტატი ა. აბდურახმანოვი აღნიშნავს, რომ უზბეკეთის სს რესპუბლიკის ბიუჯეტი უზრუნველჰყოფს უზბეკეთის სახალხო მეურნეობის სწრაფ ზრდას. ომის წლების განმავლობაში სამრეწველო პროდუქციის გამოშვებამ რესპუბლიკაში ერთნახევარჯერ იმატა. გაიზარდა მძიმე მრეწველობის ხვედრითი წონა. ერთიორად გაიზარდა ნავთის ამოღება. შექმნილია ქვანახშირის საკუთარი ბაზა და მეტალურგიული მრეწველობა. ომის წლების განმავლობაში აგებულ იქნა და ამუშავდა 4 ელექტროსადგური, შენდება კიდევ ათი, მათ შორის უზბეკი ხალხის სიამაყე—ფარხადის ჰესი. ნახევარი მილიარდი მანეთი დაბანდებულ იქნა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ომის მანძილზე. 800 ათასი ჰექტარით გადიდდა სათესი ფართობი. ერთიორად იმატა მარცვლეულის საერთო წარმოებამ.

დეპუტატი ტ. უსლიეევი აღნიშნავს, რომ სამამულო ომის ფრონტებზე წითელი არმიის წარმატებებმა უმაგალითოდ აამაღლეს საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტი.

— წითელი არმიის დაუშრეტელი ძალის ძლავრ წყაროს,—განაგრძობს ამბ. უსლიეევი,—წარმოადგენს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა.

ამ ურღვევ კავშირში აზერბაიჯანელი ხალხი პატიოსნად და ერთგულად „სრულიან თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

ამბ. უსლიეევი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 1944 წლის ბიუჯეტი მოწმობს ჩვენი ხალხის მთელი ძალების ახალ დაძაბვას მტრის საბოლოო გამარჯვებისათვის, და წინადადება შემოაქვს დამტკიცებულ იქნას ბიუჯეტი საბიუჯეტო კომისიის შესწორებებთან ერთად.

— ყაზახეთის მშრომელნი,—ამბობს თავის სიტყვაში დეპუტატი ნ. უნდასინოვი,—თავისი თავდადებული შრომით და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის დაფინანსებაში პირადი მონაწილეობით პირნათლად ასრულებენ თავიანთ პატრიოტულ მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

ყაზახეთიდან დღისითა და ღამით მიდიან სურსათით, საომარი მასალებით, საჭურველთა, ქვანახშირით დატვირთული მატარებლები. მარშანდელთან შედარებით 38 პროცენტით გაადიდა ქვანახშირის ამოღება ყარაგანდის ბასეინმა. სერიოზულად განვითარდა იშკიათ ლითონთა წარმოება. 2,5-ჯერ გადიდდა თავდაცვითი მრეწველობის პროდუქცია. ფართო მასშტაბით გაჩაღდა ახალი სამრეწველო შენებლობა. ყაზახეთის კოლმეურნეობებმა 1943 წელს 415 ათასი ჰექტარით გაადიდეს ნათესი ფართობი 1940 წელთან შედარებით.

დეპუტატი მ. ა. როდიონოვი აღნიშნავს, რომ 1944 წლის ბიუჯეტის რეალიზაცია იქნება ახალი შენატანი ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის საქმეში, ფრონტისადმი საყოველთაო-სახალხო დახმარების ახალი გამოვლინება. გორკის ოლქის მაგალითით ორატორი გვიჩვენებს, თუ როგორ აფინანსებს საბჭოთა ხალხი თავისი ქვეყნის საბრძოლო საჭიროებებს.

— სამამულო ომის ფრონტებზე სომხეთის შვილები წმიდად იცავენ თავიანთი დიდი წინაპრების საბრძოლო ტრადიციებს, ვეიჩენენენ გმირობისა და მამაცობის ნიმუშებს,—ამბობს დეპუტატი ლ. გ. ოსიპიანი.—სომხეთის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც სისტემატურად მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო გეგმებს, აითვისეს პროდუქციის 200-ზე მეტი ახალი სახე, რომელთაგან 100-ზე მეტი ადგილობრივი ნედლეულიდან მზადდება. მე სავსებით ვიტვირ მხარს წინადადებას დამტკიცდეს 1944 წლის ბიუჯეტი, რომელიც შეესაბამება საყოველთაო-სახალხო ამოცანას — განადგურებულ იქნან გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი და განხორციელდეს სსრ კავშირის ყველა ხალხთა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი ყოველმხრივი განვითარება.

— ჩვენი ქვეყნისათვის სიამაყის გრძნობით,—ამბობს დეპუტატი ი. ხ. გრუშეცკი,—შეეხვდით ჩვენ, დეპუტატები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ცრობას იმის შესახებ, რომ მომდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტში თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის დასაფინანსებლად ხარჯების საერთო თანხა გათვალისწინებულია 128.4 მილიარდი მანეთის რაოდენობით. ამ ციფრით გამოხატულია მთელი საბჭოთა ხალხის ნებისყოფა—უზრუნველჰყოს ყოველივე, რაც აუცილებელია მტერზე უსწრაფესი გამარჯვებისათვის.

— ყირგიზი ხალხი,—ამბობს დეპუტატი მ. ტოკობაევი,—სამართლიანად ამაყობს თავისი გმირი ფრონტელებით და შრომითი სამხრეთ საქმეებით ზურგში. სამამულო ომის წლებში ყირგიზეთმა მიაღწია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის უმაგალითო აღმავლობას. რესპუბლიკაში გაჩაღდა დიდძალი ახალი სამრეწველო საწარმოების შენებლობა. დეპუტატი ტოკობაევი თხოულობს დამატებით შეტანილ იქნას რესპუბლიკის ბიუჯეტში 3.600 ათასი მანეთი, რაც აუცილებელია საფიქრო მრეწველობის განვითარებისათვის, 400 ათასი მანეთით გადიდდეს ასიგნობანი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ყირგიზეთის ფილიალის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ ჰ. ხ. პროკოფიევს. იგი აღნიშნავს დიდი რუსი ხალხის ყოველდღიურ დახმარებას კარელია-ფინეთის სსრ ხალხებისადმი.

კარელია-ფინეთის სსრ მშრომელნი კიდევ უფრო თავდადებით იშრომებენ თავიანთი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

დეპუტატ პროკოფიევის გამოსვლით ეროვნებათა საბჭოს მეორე სხდომა იხურება.

(საკვლისი).

თათბირი საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პარტიული მუშაობის საკითხებზე

30 იანვარს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სხდომათა დარბაზში შესდგა ქალაქის მსხვილ საწარმო-დაწესებულებათა პარტიული კომიტეტებისა და პარტბიუროების მდივნების საქალაქო თათბირი, რომელიც მიზნად ისახავდა პარტიული მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.

თათბირზე პირველი გამოვიდა კიროვის სახელობის ქარხნის პარტბიუროს მდივანი ამხ. ფირცხალავა, მან თათბირს მოუთხრო იმის შესახებ, თუ როგორ რაზმავს ქარხნის პარტორგანიზაცია ძალებს საწარმოო დავალებათა დროზე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. პარტბიუროო კონკრეტულ დახმარებას უწევს საამქროთა პარტორგანიზაციებს. საამქროთა პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად იხილავენ საწარმოო საკითხებს. ქარხანაში ვრცალი ახალი მუშა მუშაობს, ამიტომ სერიოზული ყურადღება ეთმობა ახალი მუშების აღზრდის და საწარმოო სწავლების საკითხებს.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია თავის ყოველდღიურ საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კომკავშირულ-ახალგაზრდული და ფრონტული ბრიგადების მუშაობას. ქარხანაში ჩამოყალიბებულია 19 ბრიგადა, მათ შორის 6 ფრონტელია. პარტიული ორგანიზაცია რეგულარულად ამოწმებს მათ მუშაობას, ყოველმხრივ ეხმარება მაღალი საწარმოო წარმატების მოპოვებაში.

ამხ. ფირცხალავამ ამასთანავე აღნიშნა პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. ჯერ კიდევ სუსტად მიმდინარეობს ახალმოსულ მუშათა აღზრდა, პარტბიუროო საკმაო ხელმძღვანელობასა და დახმარებას ვერ უწევს ამ დარგში საამქროთა პარტიულ ორგანიზაციებს.

ამხ. მიქავამ (საქ. სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის პარტკომის მდივანი) ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რასაც ეწევა პარტიული ორგანიზაცია კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ეძღვნება საბჭოთა მუშაობას. ავიატორებად გამოყოფილი არიან მომზადებული ამხანაგები. ისინი უმთავრესად ცოცხალი სიტყვის მეშვეობას იყენებენ. პარტკომი ხშირად საუბრობს ავიატორებთან, უწევს მათ ინსტრუქტაჟს, აწყობს მათი დადებითი მუშაობის გამოცდილების გაზიარებას. განსაკუთრებული ყურადღება ეძღვნება ავარეულ წოვნზე დამოუკიდებლად მუშაობის საკითხებს.

პირველი სამკერვალო ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ამხ. აფაქიძემ უმთავრესად ილაპარაკა ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის საკითხებზე. პარტბიუროო სწავლობს ახალგაზრდა კომუნისტების უნარს, შესაძლებლობას, ინტერესს და იმის მიხედვით ანაწილებს მათ სამუშაოზე, აძლევს დავალებას. ფაბრიკაში 48 ახალგაზრდა კომუნისტია. უმრავლესობას მიეცემული აქვს დავალება. ზოგი მათგანი საამქროს კედლის გაზეთის redaქტორია, ზოგი აგიტატორი. პარტბიუროს ყოველდღიური დახმარებით ისინი კარგად ამთავრებენ თავს სამუშაოს. პარტბიუროს სხდომებზე წინასწარი შესწავლის შემდეგ ხშირად ვისმენთ ახალგაზრდა კომუნისტების მოხსენებებს, ვუსახავთ ლონისძიებებს, რაც ზრდის მათ პასუხისმგებლობას მინდობილი დავალების შესრულებისათვის.

ამხ. სუკასოვმა (კალინინის სახელობის ქარხნის პარტბიუროს მდივანი) თათბირს მოუთხრო იმაზე, თუ როგორ ეხმარება და ხელმძღვანელობს ქარხნის პარტბიუროო საამქროთა პარტორგიუფებს. პარტბიუროს სხდომებზე იხილავენ მოხსენებებს პარტორგიუფების მუშაობის შესახებ ცალკეულ საკითხებზე. პარტორგიუფები იხილავენ რა საწარმოო საკითხებს, სახალხო ლონისძიებებით ეხმარებიან [illegible] ბის შესრულებაში.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინსკი რაიონის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. ჭკუასელი შეეხო რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში პარტიულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების მდგომარეობას, ილაპარაკა ავტოსარემონტო ქარხნის, კიროვის სახელობის ქარხნის, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნისა და საორთქლმავლო დეპოს პარტიული ორგანიზაციების დადებითი მუშაობის გამოცდილებაზე. აღინიშნული პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად ამოწმებენ პარტიული კრებების მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულებას, ისმენენ შედეგებს პარტბიუროს სხდომებსა და ფართო კრებებზე. ეს ზრდის პარტიული კრების გადაწყვეტილებათა ავტორიტეტს და კომუნისტების პასუხისმგებლობის გრძნობას. ამხ. ჭკუასელმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა დახმარებას უწევენ ამ მხრივ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს რაიკომის ინსტრუქტორები.

ამხ. ალოვანმა (ტყვიის პირველი ქარხნის პარტბიუროს მდივანი) ილაპარაკა უპარტიოებთან აქტივთან მუშაობისა და საქ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღების საკითხებზე. პარტბიუროს მდივანი ხშირად სარბორს უპარტიო აქტივთან სწავლობს აქტივისტთა უნარს და ინტერესთა სფეროს. მოწინავეებს პარტიის რიგებში ილიებენ. ამას წინათ პარტიულ ორგანიზაციის განდიდებულ მიღიეს ქარხნის მთავარი ინჟინერი ამხ. ხაზარაძე, რომელიც კარგი ავტორიტეტით სარგებლობს ქარხნის კოლექტივში, მრავალრიცხოვანი ნაციონალიზატორული წინადადების ავტორია. ამხ. ხაზარაძემ პარტიაში მიღების შემდეგ კიდევ უფრო გაუმჯობესა მუშაობა.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტკომის მდივანმა ამხ. ნეფარიძემ თათბირს მოუთხრო იმის შესახებ, თუ როგორ ახორციელებს ქარხნის პარტიული ორგანიზაცია კონტროლს საწარმოს ადმინისტრაციაზე. პარტიული ორგანიზაცია ყოველმხრივ ეხმარება ადმინისტრაციას ნაკლოვანებების გამოსწორებაში, სახელმწიფო დავალებათა პირნათლად შესრულებაში. ამას წინათ ქარხანამ მიიღო სერიოზული დავალება—შეეკეთებინა ნადავი ვაგონები. პარტიულმა ორგანიზაციამ წინასწარ შეისწავლა ყველა შესაძლებლობა, საპასუხისმგებლო უბნებზე განაწილა კომუნისტები, ფართოდ გამოიყენა საგაიაციო მუშაობის ყველა ფორმა: ცოცხალი სიტყვა, კედლის გაზეთები, ფურცლები — ელვა, რითაც უზრუნველჰყო დავალების დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულება.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორმა ამხ. გარდაფხაძემ მოიყვანა იმის კონკრეტული ფაქტები, თუ როგორ არის დაყენებული შინაპარტიული მუშაობა თბილისის ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციებში.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანმა ამხ. დგებუაძემ თათბირს მოუთხრო იმის შესახებ, თუ რა მუშაობას ეწევა ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაცია სოფლის მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მოსამზადებლად.

თათბირზე გამოვიდნენ ავრეთვე ქალთა მეორე საშუალო სკოლის პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ოუზბაშეანი, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორი ამხ. მიქაძე.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო-სინსტრუქტორო განყოფილების გამგემ ამხ. შ. ჯაფარიძემ.

ნითელი არმიის თბილისის საოლქო სახლის ოცი წლისთავის საიუბილეო საღამო

ნითელი არმიის თბილისის საოლქო სახლს, რომლის დამაარსებლები და ორგანიზატორები იყვნენ ამხ. სერგო ორჯონიკიძე და სერგეი კიროვი, ამ დღეებში თავისი არსებობის ოცი წლისთავი შეუსრულდა.

30 იანვარს ამ სახელოვანი თარიღის აღსანიშნავად ნითელი არმიის თბილისის საოლქო სახლში გაიმართა დიდი საიუბილეო საღამო.

საიუბილეო საღამო დაიწყო საზეიმო სხდომით, რომელიც გაიმართა დიდ სათეატრო დარბაზში. საზეიმოდ მორთულ სცენაზე პრეზიდიუმის მაგიდასთან იყვნენ ამიერ-კავკასიის ფრონტის სარდალი არმიის გენერალი ი. ტიულენევი, გენერალ-მაიორი პ. ეფიმოვი, მეძრაობის პირველი რანგის გენერალ-დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი გ. კიკნაძე, აკადემიკოსი ნ. კეკლუნელი, სსრკ სახალხო არტისტი ა. ხოლავა და სხვ.

საზეიმო სხდომა გახსნა ამიერ-კავკასიის ფრონტის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილემ პოლკოვნიკმა კოტომოვმა. წითელი არმიის თბილისის საოლქო სახლის მიერ განვლილი ოცი წლის მანძილზე ჩატარებული მუშაობის შესახებ საიუბილეო სხდომაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა სახლის უფროსი მაიორი სიზი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივისა და საქართველოს მეცნიერ მუშაკთა სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა აკადემიკოსი ნ. კეკლუნელი.

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახელით იუბილიარს მიესალმა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხოლავა.

ამიერ-კავკასიის ფრონტის სარდალმა ი. ტიულენევმა, რომელმაც მიიღო მათ მთავრობის ამ უმაღლესი ჯილდოების მიღება.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა მაიორმა სიზიმ.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ფინორგანოები

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1943 წლის მეოთხე კვარტალის შედეგთა შეჯამებისას საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიამ შეჯიბრებაში ჩაბმულ საქართველოს საფინანსო ორგანოებიდან საუკეთესო მიჩენილებლების მიღწევისათვის გამარჯვებულად სცნო:

ორჯონიკიძის რაიონის საფინანსო განყოფილება, რომელსაც 1943 წლის მეოთხე კვარტალის საუკეთესო მიჩენილებლისათვის გადაეცა საქართველოს სსრ ფინანსთა-ს. საფინანსო-საბანკო მუშაკთა პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 11.000 მანეთი.

მეორე პრემიები თითო 8.000 მანეთის რაოდენობით მიეცათ ლენინგორის და ტყიბულის რაიფინგანყოფილებებს. მესამე პრემიები თითო 6.000 მანეთის რაოდენობით მიეცათ ჯუჯაანის, ქუთაისისა და თეთრი წყაროს რაიფინგანყოფილებებს.

მეოთხე პრემიები თითო 5.000 მანეთის რაოდენობით მიეცათ წითელწყაროს, კასპის და წყალტუბოს რაიფინგანყოფილებებს.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

„კომუნისტი“
ყოველდღიური განცხადებების, მათ შორის სამგლოვიარო განცხადებების გამოქვეყნებისათვის მიმართეთ გამომცემლობას: ლენინის ქ. № 28. მე-3 სართული, ოთახი № 6, ტელ. № 3—51—81.

დები, ძმები ჩიჩუები ოჯახებით იუწყებიან ნინო არსენის-ასულ მასხარაშვილის გარდაცვალებას. პანაშვ. 1, 2/II, 7 ს. გამოსვ. 3/II, 5 ს. ბორჯომის, 6 112

შეუღლე პლატონ, შვილები ერემია, ნინო იუწყებიან ნაზიკო კამლაძე-ბურგენიძის გარდაცვალებას. გამოსვ. 1/II, 5 ს. საბჭოს, 361. 109

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-38, განყოფილებისა: პარტიულისა და პროპაგანდის—3-31-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, განათლებისა-ჯანმრთელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების—3.80.84, წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომწვევის—3-81-65, გამომცემლობის —3-51-81, ტპამბის დირექტორის — 3-77-70.

ს. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.000 უმ 00227

სტალინგრადთან გერმანელთა განადგურების წლისთავისათვის

სტალინგრადის ეპოპეა

1943 წლის 2 თებერვალს დამთავრდა ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლა—სტალინგრადისათვის ბრძოლა.

სტალინგრადის დაკავებას გერმანელთა ხარდლობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. გერმანიის გენერალური შტაბის გეგმით ვერმანელ ფაშისტთა არმიებს უნდა დაეკავებინათ სტალინგრადი, აღმოსავლეთიდან შემოეღლოთ მოსკოვისათვის, მოეწყვეტათ ჩვენი ქვეყნის ცენტრალური ნაწილი ვოლგისა და ურალის ზურგისათვის, შემდეგ კი დაერტყათ საბჭოთა კავშირის დედაქალაქისათვის, გაენადგურებინათ წითელი არმია და თავიანთ სასარგებლოდ დაემთავრებინათ ომი. მთავარი მიმართულებისათვის რომ მოეშორებინათ ჩვენი ძალები, ამისათვის გერმანელებმა იმავდროულად შემოუტიეს სამხრეთს, ცდილობდნენ რა დაეპყროთ ბაქო და ჩვენი ნავთის სიმდიდრე.

ამრიგად, სტალინგრადის კედლებთან წარმოებულ ბრძოლაში წყდებოდა ჩვენი სამშობლოს ბედი. გერმანელებმა ამ ქალაქს უდიდესი რაოდენობის ცოცხალი ძალა და ტექნიკა მოაყარეს—36 რჩეული კადრის დივიზია. ისინი ირიფად აგდებდნენ ზარალს და ისწრაფოდნენ გამარჯვებისათვის მიეღწიათ რადაც უნდა დასჯდომოდათ. სტალინგრადის ბრძოლამ ისეთი მასშტაბი მიიღო, როგორსაც ჯერ ისტორია არ მოსწრებია. ჩვენმა ჯარებმა მოწინააღმდეგის სრული განადგურებით დაამთავრეს ეს ბრძოლა.

* * *

ვოლგის ნაპირებზე გამართულ ბრძოლას წინ უსწრებდა გერმანელთა შემოტევა ვორონეჟის მიმართულებით, სადაც ისინი ცდილობდნენ ზურგში მოჰქცეოდნენ მოსკოვს ერმოკლესი გზით. მტრის ჯარებმა, რომლებმაც აქ მარცხი განიცადეს, იწყეს წინსვლა სტალინგრადისაკენ და ივლისის დამლევს უდიდესი ზარალის ფასად შეავიწროვეს წითელი არმიის ნაწილები. დონის მოსახვევსა და ვოლგას შუა გაიფრენებული ბრძოლა გაჩაღდა, რომელშიც მილიონ კაცზე მეტი ლებდა მონაწილეობას. ამ ბრძოლის ცალკეულ ეტაპებზე ერთსა და იმავე დროს გამოყენებული იყო ორიათასზე მეტი ტანკი, ორიათასამდე თვითმფრინავი და 20 ათასზე მეტი ქვემეხი.

გამოპაჯადათ რა ბრძოლაში სულ ახალ-ახალი ურდოები, გერმანელებმა დაიკავეს სტალინგრადის ცალკეული ქუჩები, შემოიჭრნენ სატრაქტორო ქარხნის რაიონში, ნახევარ კილომეტრამდე ამოერღვნენ ჩვენს ნაწილებს და სულ ფერო და უფრო აწვებოდნენ მათ ვოლგისაკენ.

მაგრამ ჰიტლერელთა ურდოების მთელი ღონისძიებანი დაამსხვრია ჩვენი ჯარების ურყევმა სიმტკიცემ. სტალინგრადის დამცველები, რომელნიც ასრულებდნენ სამშობლოს ბრძანებას. ბელადის ბრძანებას: „არც ერთი ნაბიჯი უკან!“, გმირულად იბრძოდნენ ვოლგისპირა მიწის ციწრო ზოლზე, მამაცურად ეცადნენ ყოველ ქუჩას, ყოველ სახლს. თავიანთი უმაგალითო წინააღმდეგობით წითელი არმიის ნაწილებმა სისხლისაგან დასცალეს მტრის ურდოები. სტალინგრადის მშრომელნი თავდადებულად ეხმარებოდნენ წითელ არმიას, მებრძოლებთან ერთად ისინი იბრძოდნენ მშობლიური ქალაქისათვის, აწვდიდნენ სამხედრო მასალას, დახმარებას უწევდნენ დაჭრილთ, ოქტომბრის დამლევს გერმანელთა შემოტევა შეჩერებულ იქნა.

ამასობაში წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით დიდ ოპერაციას ამზადებდა სტალინგრადისაკენ გამოჭრილ გერმანელთა ჯარების გასანადგურებლად. 1942 წლის 19 ნოემბერს ჩვენი ნაწილები გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ. მძლავრი დარტყმებით შუა დონის რაიონიდან და სტალინგრადის სამხრეთით მდებარე ტბების რაიონიდან მათ გაანადგურეს პირისპირ მდგომი გერმანელ-რუმინელთა ნაწილები და 23 ნოემბრისათვის შეჯარეს რკალი მტრის დაჯგუფების ირგვლივ. გერმანელთა ორი არმია—მე-6 და მე-4 სატანკო—22 რჩეული დივიზია 330 ათასი კაცის საერთო რაოდენობით მრავალრიცხოვანი ტექნიკიანად გარშემორტყმულ იქნა ჩვენი ჯარების მიერ.

გერმანიის სარდლობის გაშმაგებული ცდები—გაეთავისუფლებინა თავისი არმიები, სრული მარცხით დამთავრდა. საბჭოთა ჯარების ნაწილებმა დეკემბრის განმავლობაში გაანადგურეს იტალიის მე-8 და რუმინეთის მე-3 არმიები, აგრეთვე მტრის კოტელნიკოვოსა და ტორმოსინის დაჯგუფებანი, რომელნიც სტალინგრადში გარშემორტყმული არმიების დასახმარებლად მოისწრაფოდნენ. ამაო სასლის ღერის თავიდან ასაცილებლად საბჭოთა სარდლობამ მტრის ჯარების სარდლობასა და ყველა ოფიცერსა და ჯარისკაცს ულტიმატუმი წარუდგინა უპირობო წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ. მაგრამ ჰიტლერელმა გენერლებმა უარჰყვეს ულტიმატუმი.

1943 წლის 10 იანვარს წითელმა არმიამ დაიწყო გენერალური შეტევა, რასაც მოჰყვა მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსპობა და დატყვევება. ვერც ერთმა ჰიტლერელმა ვერ დააღწია თავი საბჭოთა ჯარების რკალს. 1943 წლის 2 თებერვალს საომარი მოქმედება გენერალ